ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3778416

ნომერი: AR1567966

თარიღი : 29.12.2017

გაცემის თარიღი : 05.02.2018

გაცნობის თარიღი : 05.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი შოთა რუსთაველი , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჰოსეინ ზადეჰ ნავირი პ/ნ 01291026312
- საჩხერე ს. დუნთა

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "როზ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 439408623
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჰოსეინ ზადეჰ ნავირი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01291026312

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მამუკა ხვედელიძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი თქვენი 29/12/2017 წლის AR1567966 განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N01, 11.01.2018წ), რომლის დასკვნის საფუძველზე აღნიშნულ საკითხს მიეცა უარყოფითი შეფასება.რეკომენდაცია: სარეკლამო აბრა მოეწყოს მხოლოდ ვიტრინის თავზე გვერდითი წარწერების გარეშე. ქართულ ენაზე უნდა ეწეროს "როზე" და არა "როზ".

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს რეკომენდაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ჰოსეინ ზადეჰ ნავირს უარი ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

უარი ეთქვას, მოქ. ჰოსეინ ზადეჰ ნავირს ქ. თბილისში, , რუსთაველის გამზ. N16, რუსთაველის გამზ. N18-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.